იპოვო სახე შენი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 24 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “არარატი” (ერევანი) 3:0 (0:0).

“დინამო”: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე, ჟიბა, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცავა (გურული), ჟორჟიკაშვილი (ფრუიძე).

“არარატი”: ვასილიევი, სარქისიანი, ქეროფიანი, აშ. ხაჩატრიანი, რაფ. გალუსტიანი, კირაკოსიანი, პოღოსიანი (ნაზ. პეტროსიანი), ოჰანესიანი, მხითარიანი, ბელიქიანი (კასაბოღლიანი), რობ. გალუსტიანი.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს მელიქიანი.

დუბლიორები – 2:0. გოლები გაიტანეს კაკილაშვილმა და ჭედიამ.

გაუთავებელი უამინდობის შემდეგ გამოდარებას ჰგავდა თბილისის “დინამოს” გუშინწინდელი თამაში. სწორედ თამაში, რადგან მარტო გამარჯვება არც თუ იშვიათად უკმარობის გრძობას ტოვებს ხოლმე. ბუნებრივია, ნაადრევია იმის თქმა, რომ “არარატთან” მოგებული მატჩით დასრულდა წარუმატებლობის პერიოდი, რომ გუნდს გამარჯვებათა ხანა დაუდგა, მაგრამ ამ შეხვედრის პირველყოვლისა ფსიქოლოგიური მნიშვნელობის შეუფასებლობა უთუოდ არ იქნებოდა სწორი.

როგორც ჩანს, ტრადიციულია ის ამბავი, რომ გუშინწინდელი მეტოქეები ერთიმეორისთვის საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა თუ აღმოჩენის საშუალებას, ერთგვარ საზომს წარმოადგენენ. “დინამოსთან” გამარჯვების შემდეგ “არარატი” ბევრჯერ, ძალზე ბევრჯერ დადგომია აღმავლობის გზას. ახლა სიტუაცია სხვაა და სავსებით შესაძლებელია ყველაფერი პირიქით მოხდეს.

ერთადერთ მატჩში ხარისხობრივი ნახტომის გაკეთება წინასწარ შემზადებული ბაზის გარეშე შეუძლებელია. ეჭვი არ არის, იყო საიმისო პოტენცია, რომ “დინამოს” ასე კარგად ეთამაშა, მაგრამ არა ერთი და ორი მარცხის, ხანგრძლივი წარუმატებლობათა სერიის შემდეგ გუნდმა, ეტყობა, კარგა ხნით დაკარგა ის, რის გარეშეც სპორტში საერთოდ წარმოუდგენელია გამარჯვება. “დინამოს” თითოეულ ფეხბურთელს, მთელ გუნდს აღარ სჯეროდა საკუთარი ძალის.

ვიმეორებ, ნაადრევია იმაზე ფიქრი, რომ ყველა სიძნელე უკან დარჩა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველმა ფეხბურთელებმა ამ უკანასკნელ მატჩში იპოვეს ის, რაც ასე აკლდათ ბოლო ხანებში და რაც, ბუნებრივია, ჯერ კიდევ იგრძნობოდა “არარატთან” შეხვედრაში, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში.

მატჩი “დინამოს” იერიშებით დაიწყო. მე–3 წუთზე ჟორჟიკაშვილმა მშვენივრად დაარტყა სტუმართა კარში, კარგად ითამაშა მეკარე ვასილიევმა. მე–5 წუთზე “არარატის” საჯარიმოში გუცაევი აკრძალული ილეთით შეაჩერეს მცველებმა. მე–15 წუთი. ჯარიმა ერევნელთა კარისკენ. სახიფათოდ ურტყამს ჩივაძე. მე–20 წუთი. ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა სულაქველიძე. ისევ გადარჩა სტუმართა კარი. ორი წუთის შემდეგ გუცაევი შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ჩააწოდა კარის გასწვრივ და მცველის თავგანწირული თამაში რომ არა, კერესელიძის მიერ დარტყმული ბურთი უეჭველად გავიდოდა კარში.

თბილისელთა ამ იერიშებს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. ეს იყო და ეს. კუცია ფაქტიურად არ შეუწუხებიათ “არარატის” ფორვარდებს. ალბათ აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ სარეცენზიო მატჩში “დინამოს” დაცვა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. ამ ზონაში სულაქველიძის გამოჩენამ შესამჩნევად გამოაკეთა საქმე.

და მაინც. მასპინძელთა საკმაო უპირატესობის მიუხედავად, ყველა საფეხბურთო ლოგიკის საწინააღმდეგოდ ტაიმი დამთავრდა ფრედ. თუმცა ამ ალოგიკურობაშიც იყო თავისებური ლოგიკა. “დინამოს” თამაშზე ჯერ კიდევ მოქმედებდა საკუთარი ძალის ურწმუნოების ფსიქოლოგიური ფაქტორი.

მართალი გითხრათ, შიშით ველოდი თამაშის განახლებას. უშედეგო იერიშები, საერთოდ, და განსაკუთრებით კი რწმენადაკარგული გუნდებისთვის, უარყოფით ეფექტს იძლევა. ერთადერთ შეცდომას ხელად შეეძლო გაექარწყლებინა 45 წუთში მოპოვებული უპირატესობა.

საბედნიეროდ ასე არ მოხდა. დინამოელები არ აჰყვნენ გრძნობებს და მეორე ტაიმიც პირველის დარად, მეტი მონდომებითაც ითამაშეს.

50–ე წუთზე უხეშად ეთამაშებიან გუცაევს. ორი წუთის შემდეგ სტუმრები ისევ დაჯარიმდნენ. გუცაევის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი თბილისელებმა კარის უშუალო სიახლოვეს დააბრუნეს და სვანაძემ თავით პირველი გოლი გაიტანა “არარატის” კარში – 1:0.

65–ე წუთი. ბურთი ცაავას აქვს. მეტოქის კარამდე ორმოციოდე მეტრია. ახალგაზრდა ფეხბურთელი სწრაფად დაიძრა საჯარიმოსკენ. ამ სიტუაციაში ძალზე კარგად ითამაშა ჟორჟიკაშვილმა. უფრო რომ გაეადვილებინა პარტნიორის წინსვლა, თვითონ მარცხნივ, ერევნელთა საჯარიმოს დაუცველ ადგილს მიაშურა. მცველებმა პასის შიშით ვერ გაბედეს ცაავაზე თავდასხმა, ფორვარდმა კიდევ წაიწია წინ და სწორედ მაშინ, როცა მეტოქეები პასის მოლოდინში იყვნენ, მარცხენით მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა – 2:0.

78–ე წუთზე კვლავ წააქციეს გუცაევი. სამი წუთის შემდეგ კი ცაავამ გაუწია შესანიშნავი პარტნიორობა ჟორჟიკაშვილს. საბოლოო დარტყმა მშვიდი და ზუსტი იყო – 3:0.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ გამარჯვებაში ერთ ან რამდენიმე ფეხბურთელს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ხოლმე. ამჯერად უფრო მართებული იქნებოდა საქებარი სიტყვა გვეთქვა მთელი გუნდისთვის, თავდაუზოგავად რომ იბრძოდა 90 წუთის განმავლობაში.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 26 ივნისი, 1983 წ.